საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „ზუგო“-ს (ს/კ 445390210)
დირექტორის გენადი ტაკიძის
მის: ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქუჩა,№ 9 ბინა№ 28,
(ტელ: 558066565)

სკრინინგის განცხადება

შპს „ზუგო“-ს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 2 სექტემბრის N0-695 ბრძანების (შპს „ზუგო“-ს ნარჩენების აღდგენის, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების (პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ) საფუძველზე გააჩნია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. ნებართვის N000168.

შპს „ზუგო“-ს პოლიეთილენის ნარჩენების გადამუშავების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 6.1 პუნქტში (საწარმოს ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი) აღნიშნულია:

- *„პირველადი წარმოება* - წარმოების შედეგად მიღებული პირველადი პოლიეთილენის პარკების სისქე 0.8 მიკრონიდან 5 მიკრონამდე მერყეობს.“;
- *„მეორადის წარმოება* - ნარჩენების გადამუშავების შედეგად წარმოებული იქნება მეორადი პოლიეთილენის პარკები სისქით 1.5 მიკრონიდან 8 მიკრონამდე.“.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N472 დადგენილებით დამტკიცებული წესის - „ტექნიკური რეგლამენტის - პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 2018 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია 15 მიკრონ'ზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებას საჭიროებს შპს „ზუგოს“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

შპს „ზუგო“ გეგმავს (გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის 6.1 პუნქტში მითითებული დანადგარები იძლევა შესაძლებლობას) პირველადი წარმოებისას და ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის - პოლიეთილენის პარკების სისქე განსაზღვროს 15 მიკრონიდან 150 მიკრონამდე.

№ 707
21 " 01 2019
2 ფ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

გთხოვთ საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად მიიღოთ გადაწყვეტილება შპს „ზუგო“-ს საქმიანობა ექვემდებარება თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

დანართი - სკრინინგის ანგარიში (26 ფურცლად).

პატივისცემით,
შპს „ზუგო“-ს დირექტორი
გენადი ტაკიძე

GEORGIA "ZUGO" LIMITED LIABILITY COMPANY
ZUGO
445390210